საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

15 ივნისი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №217/17

-- -- 2017 წლის 30 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2017 წლის 8 თებერვლის 256-IIს (გამოქვეყნების თარიღი 13.02.17) საქართველოს კანონის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, წარმოდგენილი საჩივრები გაიყო ორ წარმოებად და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ წინასწარი შემოწმება და გამოკვლევა განხორციელდა მხოლოდ 2017 წლის 15 მარტის და შემდგომი პერიოდის ფაქტებთან დაკავშირებით.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 30 აპრილს მომზადებული №217/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- სასამართლოს მოსამართლეებმა - -- --, -- -- და -- -- საქმე დატოვეს განუხილველად, რაც საჩივრის ავტორის განმარტებით მიუთითებს მოსამართლეთა მიერ კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2015 წლის 28 აპრილს -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხე -- -- -- მიმართ და მოითხოვა -- -- -- -- -- -- 2015 წლის 24 მარტის №-- ბრძანების ბათილად ცნობა.

-- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 04 მაისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი, მოპასუხე -- -- მიმართ, მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

-- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 03 ივლისის საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- -- დაევალა სასამართლოსათვის მოვალე -- -- სახელზე რეგისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (ავტომანქანა -- --, სან. ნომრით --) 2014 წლის 11 დეკემბრის ყადაღის მოხსნის შესახებ არსებული -- წარმოების მასალების სასამართლოში სრულყოფილი სახით წარდგენა.

2015 წლის 24 აგვისტოს -- საქალაქო სასამართლოს --- კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ -- -- მოხსენებითი ბარათით მიმართა ამავე კოლეგიის მოსამართლე -- -- და მოითხოვა განტვირთვის მიზნით, -- საქმის №-- სხვა მოსამართლისათვის გადაცემა.

2015 წლის 26 აგვისტოს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის განჩინებით (მოსამართლე -- --) მოსარჩელე მხარის -- -- შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2016 წლის 09 თებერვალს -- საქალაქო სასამართლოს დაზუსტებული სარჩელით მიმართა შპს „-- -- --“ წარმომადგენელმა -- --.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 თებერვალს საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) მოპასუხე -- -- -- დაევალა -- -- -- -- -- -- 2015 წლის 24 მარტის №-- ბრძანებასთან დაკავშირებით -- წარმოების მასალების სრულად წარდგენა სასამართლოში.

2016 წლის 11 მარტს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --, ხოლო 29 მარტს მოსამართლე -- --.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 აპრილის განჩინებით (მოსამართლე -- --) მოსარჩელე -- -- განცხადება მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

2016 წლის 20 ივნისს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --, ხოლო 2017 წლის 25 იანვარს მოსამართლე -- --.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე დაუდგინდა ხარვეზი და განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა საპროცესო ვადა 5 დღე.

-- -- -- საქალაქო სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა 2017 წლის 22 თებერვალს.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- 2017 წლის 06 თებერვლის №--, 2017 წლის 24 თებერვლის №-- და №-- განცხადებები მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებით, არ დაკმაყოფილდა; მოპასუხე -- -- -- -- წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; -- საქმეზე №--, მოსარჩელე -- --, მოპასუხე -- -- --, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და თანხის დაკისრების თაობაზე, შეწყდა საქმის წარმოება -- -- -- 2015 წლის 24 მარტის №-- ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, ამ ნაწილში სარჩელის დაუშვებლობის გამო.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- --.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 31 მარტის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად; კერძო საჩივრის ავტორის -- -- შუამდგომლობა კერძო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 21 აპრილს -- სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და მოითხოვა უზრუნველყოფის მიზნით სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებამდე შპს ,,--"-ის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ წარდგენილ განცხადებაზე დაუდგინდა ხარვეზი.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 25 აპრილის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 11 მაისს -- სააპელაციო სასამართლოს განცხადებით კვლავ მიმართა -- -- და მოითხოვა უზრუნველყოფის მიზნით სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებამდე შპს ,,--"-ის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დარჩა განუხილველი.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს -- კოლეგიის 2017 წლის 24 თებერვლის განჩინება.

2017 წლის 04 და 07 აგვისტოს -- სააპელაციო სასამართლოს -- პალატას საჩივრებით მიმართა -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 აგვისტოს განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- საჩივრები მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 07 სექტემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- საჩივრები -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის განჩინებების გაუქმების შესახებ, არ დაკმაყოფილდა და საჩივრები საქმის მასალებთან ერთად, 05 დღის ვადაში განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს -- საქმეთა პალატას.

2.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 03 ნოემბრის განჩინებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) -- -- საჩივრები -- სააპელაციო სასამართლოს -- პალატის 2017 წლის 15 მაისის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს -- პალატის 2017 წლის 15 მაისისა და 2017 წლის 07 სექტემბრის განჩინებები.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა -- --2017 წლის 13 ოქტომბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით (მოსამართლეები - - -- --, -- --, -- --) -- -- საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2.4. 2018 წლის 03 იანვარს -- საქალაქო სასამართლოს ხარვეზის შევსებისა და დაზუსტებული

სარჩელის წარდგენის თაობაზე განცხადებით მიმართა -- --. დაზუსტებული სარჩელით მხარემ მოპასუხედ მიუთითა -- -- -- და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება 16 864.85 ლარის ოდენობით.

-- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 05 იანვრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- დაზუსტებული სარჩელი მოპასუხე -- -- -- მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში.

-- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 22 იანვრის საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) საქმეში მესამე პირად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ჩაბმულ იქნა შპს ,,--".

2018 წლის 18 იანვარს მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიას და ითხოვა შპს ,,--"-ის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება.

-- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაში არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა 3 დღის ვადა, მისთვის განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

-- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 იანვრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- შუამდგომლობა საქმეში მესამე პირებად -- -- და -- -- ჩაბმის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

-- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 იანვრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 12 თებერვალს -- -- საჩივრით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა 2018 წლის 26 იანვრის განჩინების გაუქმება.

-- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- საჩივარი -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 26 იანვრის განჩინებაზე დაუშვებლობის გამო საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა --სააპელაციო სასამართლოში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419.3-ე მუხლის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ საჩივრდება.

ამდენად, -- სასამართლოს მოსამართლეები შესაბამისი განჩინების მიღებისას მოქმედებდნენ მათთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვინაიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება მხარის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრით, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419.3 მუხლის თანახმად საბოლოოა და არ საჩივრდება. შესაბამისად, -- სასამართლოს მოსამართლეთა მიერ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით -- -- საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მითითებას -- სასამართლოს -- საქმეთა პალატის მოსამართლეების მიერ კორუფციული სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს მხოლოდ საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი ან/და მოძიებული ვერ იქნა. მოსამართლეები მოქმედებდნენ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მათ მიერ რაიმე სახის დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები არ იკვეთება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 15 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №217/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი